პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
—ნოემბერი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, მიხა ხელაშვილის ქუჩისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, ჩიხისთვის, ზურგოვანის ტერიტორიაზე მდებარე ასი ათასი მოწამის ქუჩისთვის და მუხათგვერდის სასაფლაოსკენ მიმავალი გზისთვის საქართველოს ეროვნული გმირის მიხა ხელაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. საბურთალოს რაიონში, მიხა ხელაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას, ზურგოვანის ტერიტორიაზე არსებულ ასი ათასი მოწამის ქუჩას და მასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს საქართველოს ეროვნული გმირის მიხა ხელაშვილის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. საბურთალოს რაიონში, მიხა ხელაშვილის ქუჩას მიენიჭოს მიხა ხელაშვილის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

3. საბურთალოს რაიონში, პირველ პუნქტში აღნიშნულ უსახელო ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს მიხა ხელაშვილის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

44.746090,41 802607
1 : 11K
გეოგრაფიული (

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---ნოემბერი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის ქუჩასთან მდებარე სანაპიროს უსახელო მონაკვეთისთვის ასი ათასი მოწამის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის ქუჩასთან მდებარე სანაპიროს უსახელო მონაკვეთს მიენიჭოს ასი ათასი მოწამის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

44.746090,41.802607
1 : 6524
ნოე ჟორდანიას სანაპირო
ანტონ ჩეხოვის ქუჩა
ლადო ასათიანის ქუჩა
ალექსანდრე წურწუმიას ქუჩა
ბეთანის ქუჩა
ვახტანგ გორგასლის ქუჩა
სოლოლაკის ხეივანი
მირზა შაფის ქუჩა
იოსებ გრიშაშვილის ქუჩა
იაკობ ცურტაველის ქუჩა
წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი
ბოჭორმას ქუჩა
01.17.01.065.065
01.17.01.050.029
01.17.01.117.042
01.15.05.094.039
01.18.04.002.004
01.18.02.001.017
01.18.01.002.325
01.18.01.002.319
01.18.04.020.208
01.18.01.002.337
01.18.01.002.328
01.18.01.002.322
01.18.02.001.004
01.00.287
01.05.060

ქალაქ თბილისის მუნიციპალური

საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ

გიორგი ტყემალაძეს

მიხა ხელაშვილის საზოგადოების

განცხადება

მოგეხსენებათ, რომ 2022 წლის 10 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა სახალხო პოეტს მიხა ხელაშვილს მიანიჭა საქართველოს ეროვნული გმირის წოდება და ეროვნული გმირის ორდენით დააჯილდოვა. მიხა ხელაშვილი იყო 1918-1925 წლებში ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმელი , პოეტი, დიაკვანი და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული პატრიოტი. 25 წლის ასაკში ბოლშევიკური რეჟიმის მიერ მოღალატეობრივად მოკლული და თითქმის 70 წლის მანძილზე აკრძალული და დევნილი. მისი პოეზია და ცხოვრება გზამკვლევია ყველა ქართველისათვის და მეტადრე ახალგაზრდობისათვის.

მისი ღვაწლის დასაფასებლად, მოგმართავთ თხოვნით, ქალაქ თბილისის ერთ-ერთ თვალსაჩინო ქუჩას მიენიჭოს ეროვნული გმირის, მიხა ხელაშვილის სახელი.

მიხა ხელაშვილის საზოგადოების

დირექტორი: ეროვნული უგრელიძე

21.02.2023 წ

მიხა ხელაშვილის საზოგადოება
Mikha Khelashvili society
404664298

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

25 / **მარტი** / 2024 **წ.**

KA01171730760912 4

№ 66731

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გაცნობებთ, რომ 2024 წლის 19 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო") წარედგინა თეონა სუდაძის (პ/ნ: 47001046379) M24004755 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია მისამართის დაზუსტების რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, დიღომი (საკადასტრო კოდით N 01.72.14.014.434).

სააგენტოს არქივში დაცულია:

- ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის N68 დადგენილება, სოფელ ზურგოვანაში, პირობითად შე-8 ქუჩისთვის ასი ათასი მოწამის სახელის მინიჭების შესახებ;
- ქალაქ თბილისის საკრებულოს 2012 წლის N58 დადგენილება, დიდი დიღმიდან ე.წ. მუხათგვერდის სასაფლაომდე მიმავალი უსახელო გზისთვის მუხათგვერდის სახელი მინიჭების შესახებ.

სივრცითი მონაცემების ანალიზით დგინდება, რომ სააგენტოში დაცული მონაცემებით მუხათგვერდის გზის გავრცელების არეალი მოიცავს ასი ათასი მოწამის ქუჩის მოხაზულობის უმეტეს ნაწილს. აღნიშნული შეუსაბამობიდან გამომდინარე საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის, სამისამართო რეესტრში აღრიცხული მონაცემების სისწორის გადამოწმების და განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია წარმოადგენს თუ არა ასი ათასი მოწამის ქუჩა ან/და მუხათგვერდის გზა გეოგრაფიული ობიექტების მოქმედ სახელწოდებებს. დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ, დაგვიზუსტოთ ინფორმაცია ორივე გეოგრაფიული ობიექტის მოხაზულობის თაობაზე

დანართი: 5 (ხუთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქალაქ თბილისის საკრებულო

დადგენილება № 58

„31" აგვისტო 2012 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდი დიღომიდან ე.წ. მუხათგვერდის სასაფლაომდე მიმავალი უსახელო გზისთვის მუხათგვერდის სახელის მინიჭების შესახებ

1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 9^{1} მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6-27 გადაწყვეტილების თანახმად, ქ. თბილისის საკრებულომ დაადგინა:

ა) ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდი დიღომიდან ე.წ. მუხათგვერდის სასაფლაომდე მიმავალ უსახელო გზას მიენიჭოს მუხათგვერდის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ. თბილისის მერიამ, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ დადგენილების შესაბამისად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი

შემ. № 14413647

წ. 05 09 12


X -477,935 303
Y -4 628,301 818
X -478,110 987
Y -4,628,295 468
X -478,332 179
Y -4 628,166 351
X -478,741,755
Y -4,627,965 268
X -478,547 021
Y -4,628 018 164
X -478,828 539
Y -4,627,874 251
X -476,055 954
Y -4,628,308 168
X -477,677 070
Y -4,628,262 660
X -479,108 997
Y -4,627,810 751
X -478,470 821
Y -4,628,044 643
X -479,130 164
Y -4,627,768 417
X -478,620 046
Y -4,628,020 301
X -479,108 997
Y -4,627,730 317
X -478,929,080
Y -4,627,689 042
X -479,188 373
Y -4,627,335,558
X -479,576 782
Y -4,627 499 600
X -478,919,555
Y -4,627,647 767
X -480,013 874
Y -4,627 395 683
X -479,070 897
Y -4,627,390 592
X -479,506 932
Y -4,627,500 658
X -480,873 243
Y -4,627,100,608
X -479,132 281
Y -4,627,338,733
X -479,832 899
Y -4,627,313 333
მუხადგმეტლის ბზ

ქალაქ თბილისის საკრებულო

დადგენილება № 68

„28" ოქტომბერი 2011 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, სოფელ დიდგორში, სოფელ თელოვანში, სოფელ ზურგოვანში მდებარე უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების შესახებ.

1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 9[1] მუხლის მე-2 პუნქტის „უ" ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის N 6-27 გადაწყვეტილების და „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის N 6-17 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ის შესაბამისად, ქ.თბილისის საკრებულომ დაადგინა:

ა) ვაკე-საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში მდებარე უსახელო ქუჩებს, მასზე არსებული ჩიხებით და გასასვლელებით, მიენიჭოს შემდეგი სახელწოდებები:

პირობითად 1 ქუჩას – მოციქულთა სწორი ნინოს ქუჩა;
პირობითად მე-2 ქუჩას - გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა;
პირობითად მე-3 ქუჩას - გიორგი ჭანტურიას ქუჩა;
პირობითად მე-4 ქუჩას – თამარ მეფის ქუჩა;
პირობითად მე-5 ქუჩას – ვახტანგ გორგასლის ქუჩა;
პირობითად მე-6 ქუჩას – მიხეილ მესხის ქუჩა;
პირობითად მე-7 ქუჩას – ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩა;
პირობითად მე-8 ქუჩას – იროდიონ ხონდელაშვილის ქუჩა;
პირობითად მე-9 ქუჩას - გურამ თოფჩიშვილის ქუჩა;
პირობითად მე-10 ქუჩას – დიდგორის ქუჩა;
პირობითად მე-11 ქუჩას – მიხეილ ქთაურელის ქუჩა;
პირობითად მე-12 ქუჩას - გრიგოლ ხანძთელის ქუჩა;
პირობითად მე-13 ქუჩას – ფარსმან ხონდელაშვილის ქუჩა;
პირობითად მე-14 ქუჩას - გაბრიელ ათონელის ქუჩა;
პირობითად მე-15 ქუჩას – დავით აღმაშენებლის ქუჩა;
პირობითად მე-16 ქუჩას -- დავით სარაჯიშვილის ქუჩა;
პირობითად მე-17 ქუჩას - ზაქარია სარაჯიშვილის ქუჩა;

12122/17
02 11 11

ბირიბითად მე-18 ქუჩას - ქალაქი ნიღვიეაშვილის ქუჩა;
ბირიბითად მე-19 ქუჩას – ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა;
ბირიბითად მე-20 ქუჩას – თეთრი გალავნის ქუჩა;
ბირიბითად 21-ე ქუჩას – დავით ბირანაშვილის ქუჩა;
ბირიბითად 22-ე ქუჩას – აკაკი წერეთლის ქუჩა;
ბირიბითად 23-ე ქუჩას – იაკობ გოგებაშვილის ქუჩა;

ბირიბითად 25-ე ქუჩას – დედოფალ ელენეს და მეფე კონსტანტინეს ქუჩა;
ბირიბითად 26-ე ქუჩას – ბერი გიორგის ქუჩა;
ბირიბითად 27-ე ქუჩას – კავთას ქუჩა;
ბირიბითად 28-ე ქუჩას – ჩარგალეთის ქუჩა;
ბირიბითად 29-ე ქუჩას – დავით გურამიშვილის ქუჩა;
ბირიბითად 30-ე ქუჩას – შოთა რუსთაველის ქუჩა;
ბირიბითად 31-ე ქუჩას – ფირნალიძის ქუჩა;
ბირიბითად 32-ე ქუჩას – ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა;
ბირიბითად 33-ე ქუჩას – მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩა;
ბირიბითად 34-ე ქუჩას – ცამეტი ასურელი მამის ქუჩა;
ბირიბითად 35-ე ქუჩას – სვეტიცხოველის ქუჩა;
ბირიბითად 36-ე ქუჩას – მარიამ უგრელიძის ქუჩა;
ბირიბითად 37-ე ქუჩას – ვაჟა-ფშაველის ქუჩა;
ბირიბითად 38-ე ქუჩას – კვირაცხოველის ქუჩა;
ბირიბითად 39-ე ქუჩას – ალექსანდრე ცაგარელის ქუჩა;
ბირიბითად მე-40 ქუჩას – ვახტანგ ხინკულიაშვილის ქუჩა;
ბირიბითად 41-ე ქუჩას – ავთანდილ მაძუნაშვილის ქუჩა;
ბირიბითად 42-ე ქუჩას – მუხრან მაჭავარიანის ქუჩა;
ბირიბითად 43-ე ქუჩას – გელა გოგიშვილის ქუჩა;
ბირიბითად 44-ე ქუჩას – თეიმდორე ტორნის ქუჩა;
ბირიბითად 45-ე ქუჩას – დემეტრე I-ის ქუჩა;
ბირიბითად 77-ე ქუჩას – თეთრი დუქანის ქუჩა;
ბირიბითად 114-ე ქუჩას – ითაკიმე და ანას ქუჩა.

ბ) გაკე-ხაბურთალის რაიონში, ხოფელ დიდგორში მდებარე უსახელო ქუჩებს, მასზე არსებული ჩიხებით და გასასვლელებით, მიენიჭოს შემდეგი სახელწოდებები:

ბირიბითად 1 ქუჩას – გიორგი ქეთინდიდელის ქუჩა;
ბირიბითად მე-2 ქუჩას – ირანი თაედადებული მსეფრის ქუჩა;
ბირიბითად მე-3 ქუჩას – ქობას ქუჩა.

გ) ვაკე-საბურთალოს რაიონში, სოფელ თელეთგანში მდებარე უსახელო ქუჩებს, მასზე არსებული ჩიხებით და გასასვლელებით, მიენიჭოს შემდეგი სახელწოდებები:

- პირობითად 1 ქუჩას – მეფე მირიანის და ნანა დედოფლის ქუჩა;
- პირობითად მე-2 ქუჩას – თეიმურაზ II-ის ქუჩა;
- პირობითად მე-3 ქუჩას – ქეთევან დედოფლის ქუჩა;
- პირობითად მე-4 ქუჩას – ერეკლე II-ის ქუჩა;
- პირობითად მე-5 ქუჩას – ფარნავაზ მეფის ქუჩა;
- პირობითად მე-6 ქუჩას – გიორგი სააკაძის ქუჩა;
- პირობითად მე-7 ქუჩას – ხოდაბუნების ქუჩა.

დ) ვაკე-საბურთალოს რაიონში, სოფელ ზურგოვანში მდებარე უსახელო ქუჩებს, მასზე არსებული ჩიხებით და გასასვლელებით, მიენიჭოს შემდეგი სახელწოდებები:

- პირობითად 1 ქუჩას – თავისუფლების ქუჩა;
- პირობითად მე-2 ქუჩას – გოდერძი ჩიხელის ქუჩა;
- პირობითად მე-3 ქუჩას – ნაქელბაქევი გიორგის ქუჩა;
- პირობითად მე-4 ქუჩას – აფხაზეთის ქუჩა;
- პირობითად მე-5 ქუჩას – სამაჩაბლის ქუჩა;
- პირობითად მე-6 ქუჩას – თორნიკე ერისთავის ქუჩა;
- პირობითად მე-7 ქუჩას – მერაბ კოსტავას ქუჩა;
- პირობითად მე-8 ქუჩას – ახი ათასი მიწაძის ქუჩა.

ე) ქ. თბილისის მერიამ, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ დადგენილების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6).

საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ ხამადაშვილი



მიხა ხელაშვილი

(1900-1925)

ქართველი სახალხო პოეტი, 1920-იანი წლების ანტი-საბჭოთა პარტიზანული მოძრაობის მონაწილე და „შეფიცულთა რაზმის“ წევრი.

ავტორია პოპულარული ლექსისა „ლექსო ამოგთქომ ოხერო“, რომელიც ზეპირად ვრცელდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ ხელაშვილის მშობლიურ ფშავში. 1922-1924 წლებში მონაწილეობდა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით მოწყობილ შეიარაღებულ გამოსვლებში ფშავსა და ხევსურეთში.

გავრცელებული ვერსიით საკუთარ დაბადების დღეს, 25 წლის ასაკში, მოკლეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ მოსყიდულმა მეგობრებმა: ლევან გარსევანიშვილმა, ლუკა მარცვალაშვილმა და ვახტანგ რაზიკაშვილმა. სხვა ვერსიით დაიღუპა დუშეთის მილიციის რაზმთან შეტაკების დროს. დაკრძალულია ჩარგლის სოფლის სასაფლაოზე.

მიხა ხელაშვილის ლექსების თემატიკა მრავალფეროვანია, ძირითადად პატრიოტული და სატრფიალო ლექსებია, თუმცა ასევე მოიცავს ელეგიური ჟანრის მელანქოლიურ ნათქვამებსაც. საბჭოთა პერიოდში ხელაშვილის ლექსები იბეჭდებოდა ხალხური პოეზიის ანთოლოგიებში ავტორის მითითების გარეშე.

2022 წლის 9 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მიხა ხელაშვილს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა.